

მანანა მელიქიშვილი

**ლევ ვიგოტსკის  
კოგნიტური განვითარების  
სოციალ-კულტურული  
თეორია**

2012

მანანა მელიქიშვილი,  
ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების  
სოციო-კულტურული თეორია

რედაქტორი:  
ნათია ნაცვლიშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:  
ლევან ბარბაქაძე

მასალის მომზადებისას განუული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით  
ნინო ლაბარტყავას და საბა ჩიხლაძეს

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.

[www.tpdg.ge](http://www.tpdg.ge)

## ლევ ვიგოტსკის კომბინირებული განვითარების სოციო-კულტურული თეორია

### ძირითადი საკითხები:

- თეორიის ძირითადი პოსტულატები: კულტურა, ენა, სოციალური მეტყველება, ეგოცენტრული მეტყველება, შინაგანი მეტყველება.
- განვითარების უახლოესი ზონა.
- ლ. ვიგოტსკის თეორიის მნიშვნელობა განათლებისთვის.

რუსი ფსიქოლოგი ლ. ვიგოტსკი თვლიდა, რომ თუ ყველა ადამიანი ერთად იშრომებს, საზოგადოება უფრო მეტს მოიგებს, ვიდრე მაშინ, როცა ადამიანები შრომობენ თავიანთი ინდივიდუალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ტრადიციული ფსიქოლოგია დაინტერესებული იყო ინდივიდების შესწავლით. ლ. ვიგოტსკი შეეცადა, კარდინალური ცვლილებები შეეტანა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, სადაც ინდივიდის განვითარება განხილული იყო ფიზიკური და სოციალური გარემოს კონტექსტში. ლ. ვიგოტსკი თვლიდა, რომ ფსიქოლოგიის მიზანია, ახსნას ადამიანის გარემოსთან ურთიერთობა. ადამიანს გარემოს 2 ტიპთან აქვს ურთიერთობა. ესაა ფიზიკური და სოციალური გარემო.

**ფიზიკურ გარემოში** შედის ყველა ობიექტი, რომელთანაც ადამიანს აქვს ურთიერთობა - ხე, ქვა, სკამი, მდინარე, დაფა და ა.შ.

### **სოციალური გარემო**

ადამიანი თავისი ბუნებით სოციალური არსებაა. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლა, მისი სოციალური ბუნების გათვალისწინების გარეშე, ჰგავს ფეხბურთის თამაშს უბურთოდ. ენა კი წარმოადგენს სოციალური გარემოს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც საფუძვლად უდევს უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების განვითარებას (აღქმა, მეხსიერება, აზროვნება).

ფსიქოლოგია, რომელიც განიხილავს თავისი შესწავლის ობიექტს მისი საარსებო გარემოდან მონყვეტილად, შეცდომას უშვებს. ადამიანის ფსიქიკის შესასწავლად საჭიროა არა მხოლოდ მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შესწავლა, არამედ იმისაც, თუ სად ცხოვრობს, რას ჭამს, ვისთან აქვს ურთიერთობა და როგორ საუბრობს მათთან.

ლ. ვიგოტსკი თვლის, რომ ბავშვის ფსიქიკური განვითარების

მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი კულტურაა. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც კულტურას ქმნის, ყველა ბავშვი კულტურის კონტექსტში ვითარდება. ლ. ვიგოტსკის მიხედვით, ბიოლოგია ადამიანის განვითარების მხოლოდ ბაზისურ ელემენტებს აყალიბებს, ხოლო სოციალური გარემო თითქმის მთლიანად არის პასუხისმგებელი ისეთი მაღალი დონის კოგნიტური პროცესების განვითარებაზე, როგორიცაა მეტყველება, მეხსიერება და აბსტრაქტული აზროვნება.

კულტურას ორი სახის წვლილი შეაქვს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაში. ერთი მხრივ, კულტურა განსაზღვრავს იმ ცოდნის შინაარსს, რომელსაც ბავშვი ითვისებს და, მეორე მხრივ, კულტურა ბავშვს უზრუნველყოფს აზროვნების პროცესებითა და საშუალებებით. ლ. ვიგოტსკის კონცეფციის მიხედვით, კულტურა ასწავლის ბავშვს არა მარტო იმას, თუ რა იფიქროს, არამედ იმასაც, თუ როგორ იფიქროს. სწორედ ამ გზით ახერხებს ბავშვი გარემოსთან ადაპტაციას.

ასათვისებელი ცოდნის შინაარსი განისაზღვრება საზოგადოების, ოჯახისა და სკოლის კულტურით. ის, რასაც სწავლობენ, მნიშვნელოვანია მოცემული კულტურისთვის.

ბავშვი სწავლობს პრობლემების გადაწყვეტას გამოცდილებით, მაგრამ ეს გამოცდილება სოციალური ურთიერთობისა და ურთიერთგაზიარების კონტექსტში შემუშავდება. აქ იგულისხმება ბავშვის ურთიერთობა მშობლებთან, მასწავლებლებთან და თანატოლებთან. საწყის ეტაპზე, ბავშვთან ურთიერთობაში ჩართული პიროვნება იღებს უფრო მეტ პასუხისმგებლობას პრობლემის გადაწყვეტაზე, მაგრამ თანდათან პასუხისმგებლობა გადანაწილდება თვითონ ბავშვზე. ამგვარად, ლ. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ბავშვი იმთავითვე სოციალურ არსებად მოიაზრება. სოციო-კულტურული თეორია გამოკვეთს ბავშვებსა და საზოგადოების უფრო მცოდნე წევრებს შორის დიალოგის აუცილებლობას. ბავშვები საზოგადოების კულტურას სწორედ

ამგვარი ურთიერთობის საშუალებით ეუფლებიან.

ლ. ვიგოტსკის თანახმად, ბავშვის განვითარებას განაპირობებს „იარაღისა“ და მეტყველების გამოყენება.

„იარაღის“ გამოყენებაში ლ. ვიგოტსკი გულისხმობს გარემოს რომელიმე ობიექტის გამოყენებას დასმული პრობლემის გადასაწყვეტად.

იყენებს, თუ არა ბავშვი „იარაღს“?

ეს უნარი ბავშვს უფითარდება დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მას შემდეგ, რაც ის მომნიჭდება და დააგროვებს გარკვეულ გამოცდილებას ფიზიკური და სოციალური გარემოს შესახებ. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ, ყ. პიაჟეს მიერ ჩატარებული კვლევა - 8 თვის ბავშვს შეუძლია მონიოს ერთი ობიექტი (მაგალითად, ბალიში), რათა აიღოს მასზე მოთავსებული მეორე (მაგალითად, სათამაშო) ობიექტი. ამ შემთხვევაში, ბალიში გამოიყენება, როგორც „იარაღი“.

მეტყველებაში კი გულისხმობს ნიშნებისა და სიმბოლოების (როგორიცაა რიცხვები და მათემატიკური სიმბოლოები, ენა და კოდირების სისტემები) გამოყენებას სოციალური კომუნიკაციისთვის.

არავერბალური განვითარების საფეხურზე, ბავშვი პრობლემას წყვეტს თანდაყოლილი ფსიქიკური ფუნქციების (მაგალითად, ახალშობილი ცნობს დედის ხმას, ტირის, როცა შიან რაიმე ანუხებს, იმახსოვრებს სუნს და ა. შ.) გამოყენებით, რომლებიც ძირითადად პრაქტიკული ხასიათისაა. მათ ლ. ვიგოტსკიმ ელემენტარული ფსიქიკური ფუნქციები უწოდა. როცა ბავშვი პრობლემის გადასაწყვეტად იწყებს მეტყველების გამოყენებას, ის გადადის ინტელექტუალური ფუნქციონირების მაღალ დონეზე. ამ დონეს ლ. ვიგოტსკიმ უწოდა უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციები.

## რატომ არის მეტყველება ასეთი მნიშვნელოვანი?

მეტყველების წყალობით, ბავშვებს შეუძლიათ ისაუბრონ ობიექტებზე, რომლებსაც იმ მომენტში ვერ ხედავენ, დასახონ სამომავლო გეგმები და გაიხსენონ წარსულის შეცდომები. ბავშვებს, რომლებიც არ არიან დაუფლებული მეტყველებას, შეუძლიათ იაზროვნონ მხოლოდ იმ ობიექტებზე, რომელთაც უშუალოდ ხედავენ (აქ ნათლად ჩანს მსგავსება ჟ. პიაჟეს სენსომოტორულ ინტელექტთან). ასევე, მეტყველება აძლევს ბავშვს საშუალებას, ილაპარაკოს პრობლემაზე, სანამ დაიწყებს კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებას მის გადასაწყვეტად. ხოლო ბავშვი, რომელიც ჯერ არ არის დაუფლებული მეტყველებას, მიჯაჭვულია „აქ“ და „ახლა“ სიტუაციას. ისინი შეზღუდული ინფორმაციის ტყვეობაში არიან, რომელიც მათ კონკრეტულ შემთხვევაში მიეწოდებათ მათი გრძნობის ორგანოებით. ამიტომ ისინი ხშირად წყვეტენ პრობლემას ცდისა და შეცდომის გზით.

ენა - ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბავშვს, გადავიდეს კონკრეტული საგნებიდან ცნებებზე. ეს კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურ ურთიერთობაზე. სიტყვები იძლევა იმის საშუალებას, რომ ბავშვი დაეუფლოს ახალ ცოდნას. თავიდან გარკვეული დრო უნდა გავიდეს, რომ ბავშვმა აღიქვას და გაიგოს ენა, რომლის საშუალებითაც თქვენ მას აწვდით ახალ ინფორმაციას. შეიძლება გამოვიყენოთ ალტერნატიული საშუალებებიც - სიმბოლო, ნიშანი, ნახატი, ნაბეჭდი ტექსტი და ა.შ. ამ პერიოდის ხანგრძლივობა განსხვავებულია სხვადასხვა ბავშვთან. ეს პროცესი არ უნდა დავაჩქაროთ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბავშვმა გაიგო ახალი სიტყვების მნიშვნელობა.

შემდეგი ნაბიჯია - მივცეთ ბავშვს საშუალება, თვითონ გამოიყენოს ახალი სიტყვა. აზრების ვერბალურად გადმოცემა აუმჯობესებს ცოდნის ათვისებას.

**ლ. ვიგოტსკიმ მეტყველების ფუნქციის განვითარებაში სამი სტადია გამოყო: სოციალური, ეგოცენტრული და შინაგანი მეტყველება.**

როცა ბავშვი დამოუკიდებლად ვერ წყვეტს პრობლემას, ის მიმართავს უფროსს დახმარებისთვის. დახმარების მისაღებად კი მან ვერბალურად უნდა აღწეროს პრობლემა. ამას ლ. ვიგოტსკიმ **მეტყველების სოციალური ფუნქცია უწოდა**, ანუ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ორ ადამიანს შორის კომუნიკაცია. სოციალური მეტყველების მთავარი ფუნქციაა, სხვა ადამიანების ქცევის კონტროლი (მაგალითად, წვენი მინდა) ან ელემენტარული ემოციების გამოხატვა. სოციალური მეტყველების სტადია 3 წლამდე გრძელდება.

ლ. ვიგოტსკის აზრით, მას შემდეგ, რაც ბავშვი შეიძენს სხვებთან კომუნიკაციის გამოცდილებას, ის იძენს საკუთარ თავთან ლაპარაკის უნარს, რასაც **ჟ. პიაჟემ ეგოცენტრული მეტყველება უწოდა** (თუ თქვენ 3-4 წლის ასაკის ბავშვებს დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ისინი თამაშისას საკუთარ თავს ხშირად ესაუბრებიან).

**ჟ. პიაჟე** თვლიდა, რომ ბავშვები, ასაკის მატებასთან (მომნიფება) ერთად, მით უფრო - თანატოლებთან უთანხმოებისას, ეგოცენტრული მეტყველებიდან სოციალურ მეტყველებაზე გადადიან.

ლ. ვიგოტსკის კი, ბავშვის ეგოცენტრულ მეტყველებასთან დაკავშირებით, სრულიად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა. ის თვლიდა, რომ ბავშვები ეგოცენტრულ მეტყველებას საკუთარი აზროვნების მართვისთვის, მონიტორინგისა და პრობლემის გადაჭრისთვის მიმართავენ მაშინ, როცა **ჟ. პიაჟეს** შეხედულებით, ეგოცენტრული მეტყველება ბავშვის აზროვნების ეგოცენტრიზმის მანიშნებელია.

**ეგოცენტრული მეტყველების სტადია მოიცავს 3-დან 7 წლამდე პერიოდს**



ლ. ვიგოტსკის თანახმად, ეგოცენტრული მეტყველება ბავშვის კოგნიტურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან მას ბავშვი თვითრეგულაციამდე მიჰყავს. ესაა: დაგეგმვის უნარი, დაკვირვება, აზროვნების მართვა, პრობლემის გადაჭრა.

ლ. ვიგოტსკის მიხედვით, თვითრეგულირების განვითარება რამოდენიმე საფეხურს გაივლის. თავდაპირველად, ბავშვის ქცევა რეგულირდება უფროსების მიერ მეტყველებისა და შესტიკულაციის გამოყენებით. მაგალითად, თუ ბავშვს ხელი ცეცხლისკენ მიაქვს, მშობელი ამბობს: - არა, ხელს დაინვა.

შემდეგ ბავშვი, მეტყველების საშუალებით, სხვათა ქცევის რეგულირებას სწავლობს. მაგალითად, თუ სხვა ბავშვს მისი სათამაშოს აღება უნდა, ის ამბობს: - არა, ეს ჩემი სათამაშოა.

და ბოლოს - ეგოცენტრული მეტყველების გამოყენებით, ბავშვი საკუთარი ქცევის რეგულირებას ცდილობს.

ბავშვები ეგოცენტრულ მეტყველებას ძირითადად დაბნეულობის, დაძაბულობის, გარკვეული სირთულეების ან შეცდომის დაშვებისას მიმართავენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟ. პიაჟე ლ. ვიგოტსკის არგუმენტებს დაეთანხმა, რომ ეგოცენტრული მეტყველება ეხმარება ბავშვს პრობლემის გადაჭრაში.

იმის გამო, რომ ეგოცენტრული მეტყველება ბავშვს აზროვნების რეგულირებაში ეხმარება, ის მას საკლასო ოთახშიც გამოიყენებს, სასწავლო ამოცანის გადანყვეტისას. მასწავლებელმა, რომელიც კლასში რთული ამოცანის გადანყვეტისას სიჩუმისკენ მოუწოდებს ბავშვებს, შესაძლოა მოსწავლეებს სამუშაოს შესრულება გაურთულოს. ყურადღება მიაქციეთ, როცა კლასში ჩურჩული მატულობს, ეს შესაძლოა იმის მანიშნებელი იყოს, რომ თქვენი მოსწავლეები დახმარებას საჭიროებენ.

და ბოლოს, **ბავშვი საკუთარ ქცევას შინაგანი მეტყველების**

**საშუალებით არეგულირებს.** ბავშვი (როცა ხელი ცეცხლისკენ წაუცდება) საკუთარ თავს ჩუმად ეუბნება: - არა. შინაგანი მეტყველება საშუალებას გვაძლევს, სხვებისგან შეუმჩნევლად ვაკონტროლოთ ჩვენი აზროვნება და ქცევა.

ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვის საკუთარ თავთან საუბარი (ეგოცენტრული მეტყველება) თანდათან შინაგან პლანში (გონებაში) გადადის. ხმამაღალი ლაპარაკი იცვლება ჩურჩულით, შემდეგ - ტუჩების მოძრაობით, ბოლოს - ფიქრით.

### უახლოესი განვითარების ზონა

ლ. ვიგოტსკის მიხედვით, განვითარების ყველა საფეხურზე არსებობს პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ბავშვი დამოუკიდებლად ახერხებს. ზოგი პრობლემის გადაწყვეტისას კი ბავშვს ჭირდება უფროსის დახმარება - მინიშნება, დეტალების ან თანმიმდევრობის შეხსენება, მისი მცდელობის ნაქეზება და ა.შ. რა თქმა უნდა, ზოგი ამოცანა ბავშვის ძალებს აღემატება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თითოეული ნაბიჯი ნათლადაა ახსნილი.

ბავშვის ფსიქიკური ფუნქციები და უნარები ასაკთან ერთად ვითარდება. ყოველ ასაკს შეესატყვისება ამა თუ იმ ფუნქციის განვითარება და სრულყოფა. ბავშვის ფსიქიკური ფუნქციები და უნარები არათანაბრად ვითარდება. შეფასების მომენტში ზოგი მათგანი უკვე ჩამოყალიბებულია, ზოგი კი მხოლოდ იწყებს ჩამოყალიბებას. მხატვრული შედარება რომ გამოვიყენოთ, ბავშვის ფსიქიკა ერთდროულად იმყოფება 2 მდგომარეობაში - მყარი და თხევადი. ზოგი პროცესი უკვე ჩამოყალიბდა, გამყარდა. ზოგი (თხევადი) კი მხოლოდ ახლა იწყებს გამყარებას.

მაგალითად, 3 წლის ბავშვს დამოუკიდებლად შეუძლია დახიოს ან დაჭმუჭნოს ქალაღი. უფროსის დახმარებით კი

შეუძლია ქალაქის ნაწილებისგან აპლიკაცია ან ქალაქის ბურთი გააკეთოს.

ლ. ვიგოტსკი ბავშვის კოგნიტურ განვითარებაში 2 დონეს გამოყოფს: აქტუალური განვითარების ზონა და უახლოესი განვითარების ზონა.

**აქტუალური განვითარების ზონა** - ეს არის ფსიქიკური ფუნქციები, უნარები და ჩვევები, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებულია, მომწიფებულია და ბავშვი წყვეტს ამ უნარებთან დაკავშირებულ ამოცანებს უფროსების დახმარების გარეშე.

უახლოესი განვითარების ზონა გულისხმობს იმ ფსიქიკურ ფუნქციებს, უნარებს, ჩვევებს, მოქმედებებს, რომელთა შესრულებაც ბავშვს დამოუკიდებლად არ შეუძლია, მაგრამ შეუძლია მოზრდილის დახმარებით.

#### **განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:**

- დედამ მიიყვანა 3 წლის ნინო საბავშვო ცენტრში, სადაც რამდენიმე მაღალი სკამი იდგა. ერთ-ერთ სკამზე დაჯდომას ცდილობდა 4 წლის ბიჭი. დედა, რომელიც მის გვერდით იდგა, შვილის დაზღვევის მიზნით, რომ არ დაეარდნილიყო, აძლევდა მითითებას, თუ სად უნდა დაედგა ფეხი. 3 წლის ნინომ კი ორივე ხელი აწია, დედამ აიყვანა გოგონა და სკამზე თავისი ხელით დასვა.

- მამამ გიორგის ელექტრონული თამაში უყიდა, რომელსაც ყუთზე ეწერა: - განკუთვნილია 3 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებისათვის. მამამ „ზუსტად იცოდა“, რომ მისი 2 წლის შვილი ძალიან გონიერია, ამიტომ სათამაშოთი სიამოვნებით ითამაშებდა. მამა ძალიან განაწყენდა, როცა აღმოაჩინა, რომ შვილს ძალიან მოეწონა სათამაშოს ყუთი, რომელსაც თამაშისას იყენებდა მანქანების ფარებად და არ უსმენდა მამას, რომელიც ცდილობდა, მისთვის თამაშის წესი აეხსნა.

აღწერილი მაგალითებიდან ჩანს, თუ როგორ იყენებენ მშობლები უახლოესი განვითარების ზონას ბავშვის აღზრდისა და სწავლებისთვის. პირველ მაგალითში აღწერილი ბიჭის დედა მოქმედებდა ბავშვის უახლოესი განვითარების ზონაში - ეხმარებოდა ბავშვს სკამზე დამოუკიდებლად დაჯდომაში.

ნინოს დედა კი არ შეეცადა, დახმარებოდა შვილს სკამზე დაჯდომაში. ეს მან დამოუკიდებლად გააკეთა, და არა მასთან ერთად, აიყვანა და თვითონ დასვა სკამზე. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ნინოსთვის სკამზე დამოუკიდებლად დაჯდომა არის განვითარების უახლოეს ზონაში.


გიორგის მამამ კი გადაჭარბებულად შეაფასა შვილის შესაძლებლობები. გიორგის აქტუალური განვითარების ზონაში არის მანქანებით თამაში (მას ამისთვის არ სჭირდება მამის დახმარება). ის, რომ მან არ გამოიყენა მამის დახმარება, მიუთითებს იმაზე, რომ ეს თამაში არ არის მისი უახლოესი განვითარების ზონაში.

ლ. ვიგოტსკის მიხედვით, განვითარების ყველა საფეხურზე არსებობს გარკვეული პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ბავშვი ახერხებს, მას სჭირდება მხოლოდ რაიმე მინიშნება, დეტალების ან თანმიმდევრობის შეხსენება, მისი მცდელობის ნაქეზება და ა.შ.

რა თქმა უნდა, ზოგი ამოცანის გადაწყვეტა ბავშვის ძალებს აღმატება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თითოეული ნაბიჯი ნათლადაა ახსნილი.

უახლოეს განვითარების ზონაში მყოფ ამოცანებს ბავშვი წყვეტს მხოლოდ უფროსის დახმარებით. იმ ამოცანებს, რომელთაც ბავშვი დღეს წყვეტს უფროსის დახმარებით, ხვალ შეძლებს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს და ეს გახდება მისი აქტუალური განვითარების ზონა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა უნარი გადადის განვითარების აქტუალურ ზონაში, ბავშვის წინაშე იხსნება ახალი შესაძლებლობები და შემდგომი

განვითარების საფუძველი (იხ. ნახატი 1).



ყოველი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ დაძაბულობას, ქმნის განვითარების საფუძველს.

აქტიუალური განვითარების ზონა 2 ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ერთნაირი, ხოლო უახლოესი განვითარების ზონა კი განსხვავებული, ერთ ბავშვს დიდი, მეორეს კი - პატარა.

უახლოესი განვითარების ზონა იზომება პედაგოგის დახმარების რაოდენობით და ხარისხით. ბავშვი, რომელმაც ათვისა, მაგალითად, მათემატიკური მოქმედებები, შეიძლება განიცდიდეს სირთულეებს ორთოგრაფიის წესების ათვისებაში, ე.ი. უახლოესი განვითარების ზონა მხოლოდით რიცხვში არ არის წარმოდგენილი. ყოველი ადამიანისთვის არსებობს უახლოესი განვითარების სხვადასხვა ზონა, აქტივობის სხვადასხვა სფეროში.

სწავლების პროცესში უახლოესი განვითარების ზონა იცვლება. მაგალითად, დღეს ბავშვს შეუძლია, პედაგოგის დახმარებით მოიფიქროს ისტორია. პედაგოგი დაეხმარება

პერსონაჟების აღწერაში, სიუჟეტის ხაზის შექმნაში. გარკვეული დროის შემდეგ კი ბავშვი დამოუკიდებლად დანერს თხზულებას მოცემულ თემაზე.

უახლოესი განვითარების ზონის იდეა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისთვის. გქონიათ ასეთი შემთხვევა, როცა რომელიმე გამოცდის ჩაბარებისას თქვენ გაგჩენიათ განცდა, რომ საკითხი კარგად არ გესმით? ასეთი განცდა მიუთითებს თქვენს პირად გამოცდილებაზე უახლოესი განვითარების ზონასთან დაკავშირებით - ფაქტი, რომ თქვენ ყველაფერი კარგად გესმით აუდიტორიაში, როცა პედაგოგი თქვენ გვერდითაა და გაძლევთ მიმართულებას, იგივე შინაარსი ცუდად გესმით (ვერ ასრულებთ დავალებას), როცა პედაგოგი თქვენ გვერდით არ არის.

### **როგორ გავარკვიოთ უახლოესი განვითარების ზონა?**

- დააკვირდით თქვენს მოსწავლეებს მეცადინეობის დროს. ესაუბრეთ მშობლებს, რომლებიც გაგიზიარებენ თავიანთ დაკვირვებას.
- გაარკვიეთ, რატომ გცემთ ბავშვი დასმულ კითხვაზე ამა თუ იმ პასუხს ან იქცევა ამა თუ იმ სახით. ასევე, შეიძლება ესაუბროთ მშობლებს, თანაკლასელებს, ან სხვა ადამიანებს, ვინც ბავშვს იცნობს.
- შეაფასეთ ბავშვის შესაძლებლობები.

უახლოესი განვითარების ზონასთან დაკავშირებით, შეიძლება შემდეგი კითხვა დაისვას - რამდენად არის მიზანშეწონილი, ბავშვის ცოდნის შეფასებისას, სტანდარტიზებული ტესტების გამოყენება?

ლ. ვიგოტსკის აზრით, სტანდარტიზებული ტესტები დიდ მნიშვნელობას იმ მიღწევებს ანიჭებენ, რომელთაც ბავშვებმა

უკვე მიაღწიეს. ისინი აფასებენ აქტუალური განვითარების დონეს. ამიტომ მასწავლებელი, რომელიც ამზადებს ბავშვს ტესტის ჩასაბარებლად, მიმართულია იმისკენ, რომ დაეხმაროს ბავშვს სასწავლო მასალის შინაარსის დამახსოვრებაში. ტესტებში ყურადღება არ ექცევა უახლოესი განვითარების ზონის დადგენას, რომელიც მომავალში ბავშვის გარემოსადმი ადაპტაციისთვის უფრო მნიშვნელოვანია.

ლ. ვიგოტსკი აღნიშნავს, რომ განვითარება მიმდინარეობს გარკვეული კანონზომიერებებით. ყოველგვარი სწავლა ასაკთან არის დაკავშირებული. ლ. ვიგოტსკი იყენებს **განვითარების სენსიტიური პერიოდის** ცნებას. **ეს ის პერიოდია ბავშვის განვითარებაში, რომლის დროსაც ფსიქიკა განსაკუთრებით მგრძობიარეა გარემოს გარკვეული ზემოქმედების მიმართ.** თუ ეს ასაკი გადავიდა, გარემოს ზემოქმედებამ შეიძლება ნეიტრალური, ანდა შემაფერხებელი როლიც შეასრულოს. უნდა ვიცოდეთ, ბავშვის ფსიქიკა რა პერიოდში რის მიმართ არის სენსიტიური, ამის შესატყვისად უნდა მიეცეს მას სასწავლო მასალაც. ამგვარად, არსებობს სწავლება/სწავლის ოპტიმალური ვადა. ამ ვადიდან გადახვევა როგორც ზევით, ისე ქვევით, საზიანოა. სწავლება უნდა ითვალისწინებდეს განვითარების გარკვეულ დონეს, მაგრამ იგი გაცილებით უფრო ეფექტურია, როცა ეყრდნობა ძალებს, რომლებიც განვითარების პროცესშია. ამიტვე აიხსნება ის ფაქტი, რომ გვიანი სწავლა კარგავს თავის ეფექტს.

მაგალითად, სიარულის სწავლის სენსიტიური პერიოდია 0.9 - 1.2 წელი, მეტყველების - 2 წელი. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები განსხვავებულები არიან, სენსიტიურ პერიოდებთან დაკავშირებით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ინდივიდუალური თავისებურებები. აქედან გამომდინარე, ბავშვი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ თავისავე თავს, რა შეეძლო გუშინ და რა შეუძლია დღეს.

## **ლ. ვიგოტსკის თეორიის მნიშვნელობა განათლებისთვის**

ჟან პიაჟემ სწავლის „სოლო“ კონსტრუქტივიზმის თეორია ჩამოაყალიბა (მან ხაზი გაუსვა თვითონ ბავშვის, როგორც ინდივიდის, აქტიურ როლს თავისი ცოდნის აგებაში). ჟ. პიაჟე განვითარებას მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე სწავლების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს. ამასთან ერთად, იმისთვის რომ სწავლას შედეგი ჰქონდეს, ის ბავშვის განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს, ანუ **განვითარება ყოველთვის წინ უსწრებს სწავლას.**

ლ. ვიგოტსკიმ კი **სოციალური კონსტრუქტივიზმის** თეორია შექმნა. ის ამტკიცებდა, რომ ბავშვის განვითარება სხვებთან ურთიერთობის შედეგად ხდება. ბავშვის სწავლებისას, უფროსი ქმნის სასწავლო სიტუაციას, რომელიც, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულია.

სწავლისა და განვითარების ურთიერთდამოკიდებულებისადმი ლ. ვიგოტსკის ხედვა რადიკალურად განსხვავებულია ჟ. პიაჟეს ხედვისაგან. ბავშვის ზრდასა და ქცევაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ლ. ვიგოტსკი - სწავლას უწოდებს, ხოლო პიაჟე - განვითარებას.

განიხილავს რა სწავლისა და ფსიქიკური განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, ლ. ვიგოტსკი აანალიზებს პიაჟეს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, განვითარება სწავლისაგან ერთგვარად დამოუკიდებელ პროცესად არის მიჩნეული. სწავლა განიხილება, როგორც გარეგანი პროცესი, რომელიც ემყარება განვითარების მიღწეულ დონეს და ვერ ცვლის მის მიმართულებას. აკრიტიკებს რა ჟ. პიაჟეს თეორიას, ლ. ვიგოტსკი შენიშნავს, რომ მის თეორიაში „სწავლა კუდში მისდევს განვითარებას“, ორიენტაციას იღებს არა ხვალინდელ



დღეზე, არამედ გუშინდელზე.

ამგვარად, ფ. პიაჟეს მიხედვით, განვითარება სწავლისათვის აუცილებელი ელემენტია, ხოლო ლ. ვიგოტსკი კი თვლის, რომ თვითონ სწავლა უწყობს ხელს განვითარებას. მისი აზრით, **სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას.**

ფ. პიაჟე ცოდნის კონსტრუქციით იყო დაინტერესებული და მიაჩნდა, რომ კოგნიტური განვითარება სწავლაზე ადრე მიმდინარეობდა - ბავშვი კოგნიტურად მზად უნდა იყოს სწავლისთვის. ფ. პიაჟეს მიხედვით, მოსწავლეებს შეუძლიათ დაიმახსოვრონ, მაგალითად, რომ ჟენევა შვეიცარიაშია, მაგრამ მაინც ამტკიცებენ, რომ ისინი ერთდროულად ჟენეველები და შვეიცარიელები ვერ იქნებიან. ბავშვი ამას მხოლოდ მაშინ გაიგებს, როცა კლასის ინკლუზიის ოპერაცია განვითარდება, ანუ ბავშვი გაიგებს, რომ ერთი კატეგორია შესაძლოა მეორეს მოიცავდეს.

ლ. ვიგოტსკი კი პირიქით, თვლიდა, რომ სწავლა აქტიურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც კოგნიტური სტრუქტურების მზადყოფნას არ უნდა დაელოდოს. იგი სწავლას განვითარების იარაღად (საშუალებად) აღიქვამდა. სწავლა უბიძგებს განვითარებას უფრო მაღალი დონისკენ, ხოლო სოციალური ინტერაქცია (ურთიერთობა), სწავლის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

ფ. პიაჟე თვლის, რომ მეტყველება სრულად ვერ ხსნის აზროვნების განვითარებას, ვინაიდან აზროვნების ფესვები აქტივობაშია. ხოლო მეტყველება აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ლოგიკური ოპერაციების ფორმირებისთვის.

ლ. ვიგოტსკიმ კი, ფ. პიაჟესგან განსხვავებით, კოგნიტურ განვითარებაში სწავლებასა და მეტყველებას მეტი მნიშვნელობა მიანიჭა. მისი აზრით, აზროვნება - მეტყველებაზე, აზროვნების საშუალებებზე და ბავშვის სოციო-კულტურულ გამოცდილებაზეა

დამოკიდებული. ლ. ვიგოტსკი დარწმუნებული იყო, რომ მეტყველება კოგნიტურ განვითარებას წარმართავს.

ლ. ვიგოტსკის მიხედვით, ყველაზე ეფექტურად ბავშვი სწავლობს სხვებთან ურთიერთობის პროცესში - მასწავლებელი, მშობელი, თანატოლი. ლ. ვიგოტსკის აზრით, მიუღებელია სწავლებისას ბავშვების დაყოფა მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით. როცა ბავშვს არა აქვს ურთიერთობის საშუალება მასზე უფრო მცოდნე ადამიანთან, მაგალითად, თანატოლთან (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, თუ ისინი სწავლობენ სპეციალიზებულ სკოლებში), ეს დიდ ზიანს მიაყენებს ახალი ცოდნის ათვისებას. ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ურთიერთობა სხვა ბავშვთან, რომელიც მას დახმარებას გაუწევს.

ჟ. პიაჟე, ისევე როგორც ლ. ვიგოტსკი, ხაზს უსვამდა, ბავშვის კოგნიტურ განვითარებაში სოციალური ინტერაქციის (ურთიერთობის) მნიშვნელობას. ჟ. პიაჟეს სჯეროდა, რომ სოციალური ინტერაქცია წონასწორობის დარღვევას იწვევს, რაც განვითარებას განაპირობებს. მისი აზრით, ყველაზე მეტი სარგებლის მომტანი თანატოლებს შორის არსებული ინტერაქციაა, რადგან თანატოლები განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე იმყოფებიან და, შედეგად, მათ ერთმანეთის აზრების გამონვევა, ნახალისება შეუძლიათ.

ლ. ვიგოტსკი კი მიიჩნევდა, რომ ბავშვის კოგნიტურ განვითარებას მასზე უკეთ მოაზროვნე (მაგალითად, მასწავლებელი, მშობელი) ადამიანთან ინტერაქცია ეხმარება. მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს ახალ ინფორმაციას და სწავლისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის, იყენებს დახმარების სტრატეგიებს. მაგალითად, ბავშვი შენახვის კოგნიტური ოპერაციის აღმოჩენისას „მარტო“ არ არის, მას ამაში უფროსი ეხმარება, ენობრივი კომუნიკაციის საშუალებით. თუმცა ბავშვს

თანატოლისგანაც შეუძლია სწავლა.

ბავშვებმა თვითონ კი არ უნდა აღმოაჩინონ კულტურაში უკვე არსებული ცოდნა ხელახლა, არამედ უფროსები უნდა დაეხმარონ მათ ცოდნის მიღებაში. მნიშვნელოვანია ბავშვთან ურთიერთობა, დიალოგი, თანამშრომლობა, რომელიც განაპირობებს ბავშვის განვითარებას. პედაგოგს უნდა შეეძლოს ბავშვის აქტუალური და უახლოესი განვითარების ზონის დადგენა, რათა სწავლების პროცესში ბავშვი დაეყრდნოს თავის გამოცდილებას და საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ შეეპაროს.

პედაგოგს უნდა შეეძლოს, ერთი მხრივ, იმ კითხვის დასმა, რომელიც აღმოჩნდება ბავშვის უახლოესი განვითარების ზონაში და, მეორე მხრივ, დახმარების სტრატეგიების გამოყენება.

„ხარაჩოს კონსტრუირება“ (scaffolding) ჯ. ბრუნერის შემოტანილი ტერმინია, მაგრამ ეს სწორედ ის მიდგომაა, რომელიც გამომდინარეობს ლ. ვიგოტსკის იდეებიდან. **სწავლა დახმარებით საჭიროებს შემდეგ „ხარაჩოებს— (დახმარების სტრატეგიებს) - ინფორმაციის მიწოდება, შეხსენება, კარნახი, წახალისება, მოსწავლესთან ერთად რთული ამოცანის ნაბიჯ-ნაბიჯ გავლა, ამოცანის ნაწილის თავად ამოხსნა, გავლილი მასალის გამეორება, ისეთი კითხვების დასმა, რომელიც მოსწავლეების ყურადღების ფოკუსირებას მოითხოვს, დროთა განმავლობაში ნაკლები დახმარების განწევა და დამოუკიდებლად მუშაობის საშუალების მიცემა.**

**ცხრილი 1**

<p><b>ჟ. პიაჟეს „სოლო“ კონსტრუქტივიზმი</b></p>	<p><b>ლ. ვიგოტსკის სოციალური კონსტრუქტივიზმი</b></p>
<p>ბავშვი კოგნიტიურად „მზად“ უნდა იყოს სწავლისთვის. სწავლა განვითარებაზეა დამოკიდებული, და არა პირიქით.</p>	<p>სწავლა წინ უსწრებს განვითარებას. სწავლა აქტიური პროცესია და განვითარებას არ უნდა დაელოდოს.</p>
<p>ბავშვი თვითონ აგებს საკუთარ ცოდნას. მოსწავლეებმა ჯერ უნდა იმოქმედონ, შეძლონ ობიექტებით მანიპულირება და დაკვირვება, ხოლო შემდეგ ისაუბრონ საკუთარ გამოცდილებაზე. ბავშვის გამოცდილება მხოლოდ ფიზიკური ობიექტებით მანიპულაციით არ შემოიფარგლება, ის სხვა ადამიანების აზრების მანიპულაციასაც მოიცავს.</p>	<p>სოციალური ინტერაქცია (უფროსებთან და უფრო მცოდნე თანატოლებთან ურთიერთობა) სწავლის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.</p>
<p>ჟ. პიაჟემ ნაკლებად გაითვალისწინა ბავშვის განვითარებაში კულტურული ფაქტორი. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ბავშვების კვლევამ აჩვენა, რომ ჟ. პიაჟეს მიერ აღწერილ სტადიათა თანმიმდევრობა ზუსტი იყო, მაგრამ სტადიების ასაკობრივი რანჟირების მიხედვით განსხვავებები არსებობს.</p>	<p>ლ. ვიგოტსკიმ სოციალურ ინტერაქციას შესაძლოა ზედმეტი მნიშვნელობაც მიანიჭა.</p>

ზემოთ აღნიშნული განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, ჟ. პიაჟე და ლ. ვიგოტსკი ალბათ დაეთანხმებოდნენ ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებებს:

1. კოგნიტური განვითარება საჭიროებს როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ სტიმულაციას.
2. აზროვნების განვითარებისთვის ბავშვები ფიზიკურად, აზრობრივად და ლინგვისტურად აქტიურები უნდა იყვნენ. მათ სჭირდებათ - გამოცდილება, საუბარი, ასახვა და პრობლემის გადაჭრა. მაგრამ მათთვის აგრეთვე სასარგებლოა - ხელმძღვანელობა, სწავლება, კითხვების დასმა, განმარტება, დემონსტრირება და მათი აზროვნების პროცესის გამოწვევა. უფროსის დახმარება მათ წაახალისებს და ჩართავს სასწავლო პროცესში.
3. ბავშვების სწავლების პროცესი „ჯადოსნურ შუალედში“ უნდა მიმდინარეობდეს, როცა სწავლა მათთვის არც მოსაწყენი იქნება და არც ძალიან რთული.
4. მასწავლებელმა ისეთი სიტუაცია უნდა შექმნას, რომ მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიოს.

### **რჩევები პედაგოგებს:**

გამოიყენეთ დახმარების შემდეგი სტრატეგიები:

1. ვუთხრათ, როგორ გადაკეთოს.
2. ვაჩვენოთ თვალსაჩინო მაგალითი.
3. გავაკეთოთ ბავშვთან ერთად.

არსებობს შეხედულება, რომ ზოგი პედაგოგი მუშაობს აქტუალური განვითარების ზონაში, ზოგი კი - უახლოესში. ლ. ვიგოტსკის აზრით, ეს არასწორი შეხედულებაა. პედაგოგი, რომელიც **ასწავლის** ბავშვებს, ვერ იმუშავებს უახლოესი ზონის ფარგლებს გარეთ. აქტუალური განვითარების დონე კი შეიძლება მხოლოდ შეფასდეს, ეს არის ის, რაც ბავშვმა ისწავლა, დაეუფლა.

ლ. ვიგოტსკი თვლიდა, რომ სწავლებისას ნაკლები ყურადღება უნდა გავამახვილოთ ინდივიდუალურ მიღწევაზე, უნდა განვახორციელოთ ჯგუფური სწავლება. ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს ინდივიდუალური დავალების შესრულება და დასჭირდეს უფროსის დახმარება. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს სასიამოვნო ან უსიამოვნო გრძნობა საკუთარი თავის მიმართ, იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით გადაწყვეტს პრობლემას სხვა ბავშვებთან შედარებით. სწავლებაში, რომელიც ემყარება აღმოჩენას და ჯგუფურ მუშაობას, დავალებას იღებს ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია მის შესრულებაზე. ჯგუფის ყოველმა წევრმა კი შეიძლება შეიტანოს თავისი წვლილი პრობლემის გადაწყვეტაში. თუ ჯგუფის რომელიმე წევრს უჭირს დავალების რომელიმე ნაწილის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, ჯგუფის სხვა წევრები ახერხებენ მის კომპენსირებას. ჯგუფური მუშაობა წარმოადგენს უახლოესი განვითარების ზონის გამოყენების მაგალითს.

ლ. ვიგოტსკის აზრით, უფრო მნიშვნელოვანია, პედაგოგს ვასწავლოთ ბავშვებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, დიალოგის წარმართვის ხელოვნება, და არა მხოლოდ სწავლების მეთოდები. სწავლების მეთოდები სრულიად უსარგებლოა ბავშვებთან სწორი ურთიერთობის გარეშე.

## **ლ. ვიგოტსკის თეორიის ძირითადი იდეები**

1. ახალი მასალის ათვისება - ეს არის სოციალური აქტივობის ფორმა, რომელიც ხორციელდება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის საფუძველზე.
2. პედაგოგის როლი შეიძლება შეასრულოს პროფესიონალმა მასწავლებელმა, მშობელმა, თანატოლმა ან ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც მოსწავლეზე მეტი იცის.
3. სწავლება უნდა მიმდინარეობდეს უახლოესი განვითარების ზონაში.
4. ახალი ინფორმაციის ასათვისებლად გამოყენებული უნდა იყოს დახმარების სტრატეგიები, რომლებიც დამოკიდებულია ბავშვის უნარებზე.
5. სწავლებას ეხმარება - კონკრეტული საგნები, ენა და სოციალური ინტერაქცია.

## **რჩევები პედაგოგებს:**

1. დაადგინეთ მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა. მიეცით მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის დავალებები, რათა შეაფასოთ მისი განვითარების უახლოესი ზონა, თუ რა სახის ამოცანების გადაწყვეტას ვერ ახერხებ მოსწავლე დამოუკიდებლად, მაგრამ შეუძლია მოზრდილი ადამიანის (ან თანატოლის) დახმარებით.
2. სწავლების დროს გაითვალისწინეთ მოსწავლის განვითარების უახლოესი ზონა. მიეცით ისეთი დავალებები, რომელთა წარმატებით შესრულებას ისინი მხოლოდ სხვების

დახმარებით შეიძლება. ეს მათ მოამზადებს იმისთვის, რომ უფრო რთულ ცოდნას დაეუფლონ.

3. გამოიყენეთ დახმარების სტრატეგიები, მაგრამ არა იმაზე მეტი, ვიდრე საჭიროა. დახმარება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გაუწიეთ.

- აჩვენეთ მოსწავლეებს მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მოცემული დავალების შესრულება.
- რთული დავალება რამოდენიმე პატარა, უფრო მარტივ ნაწილებად დაყავით.
- მიეცით კონკრეტული მითითებები, თუ როგორ უნდა შეასრულოს დავალება.
- სასწავლო მასალის მიწოდების შემდეგ, დაუსვით კითხვები: ვინ? რა? სად? როდის? რატომ? როგორ? რათა ჩამოყალიბდეს პროცედურული ცოდნა (პროცედურული ცოდნა - ეს არის წარმოდგენა შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობაზე).
- ხმამაღლა იმსჯელეთ პრობლემაზე, რათა მოსწავლემ პროცედურული საშუალებები გამოიყენოს.
- წინასწარ განიხილეთ შესაძლო სირთულეები. მაგალითად, ის პოტენციური შეცდომები, რომლის დაშვებაც მოსწავლეებს შეუძლიათ.
- მოსწავლეს თავდაპირველად მარტივი დავალება მიეცით, შემდეგ თანდათან სულ უფრო და უფრო რთულ დავალებაზე გადადით.
- მოსწავლეებს ნაწილობრივ ამოხსნილი დავალება მიეცით, სადაც მათ დასკვნის გამოტანა მოუწევთ.



- ასწავლეთ მოსწავლეებს თავიანთი პასუხების შემოწმება.
  - გამოიყენეთ ჯგუფური სწავლების მეთოდი, სადაც თანატოლები ერთმანეთს აუხსნიან გაკვეთილს.
4. დადებითად შეაფასეთ მოსწავლეთა წარმატება.
  5. წაახალისეთ ბავშვები, რომ გამოიყენონ ეგოცენტრული მეტყველება, განსაკუთრებით, რთული დავალების შესრულების დროს.
  6. გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები.

### განმარტეთ ცნებები:

- აქტუალური განვითარების ზონა

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

- უახლოესი განვითარების ზონა

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---



**საკონტროლო კითხვები:**

1. ფაზას, როდესაც ბავშვი ახერხებს ამოცანის გადაწყვეტას მისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენის შემდეგ, ეწოდება განვითარების \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ ზონა.

2. როდესაც მოსწავლე დავალებას დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე ასრულებს, ვიგოტსკის აზრით, მოსწავლე იყენებს \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ ზონაში არსებულ ძალებს.

3. რომელია ის ძირითადი იდეა, რითაც უ. პიაჟეს თეორია განსხვავდება ლ. ვიგოტსკის თეორიისგან?

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

4. მოიყვანეთ უახლოესი განვითარების ზონის მაგალითი. რამდენადაა ეს ცნება მნიშვნელოვანი სწავლების თეორიისთვის?

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---



**რა კითხვები გამიჩნდა მოცემულ მასალასთან დაკავშირებით**

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

















### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მელიქიშვილი, თ. კერძაია, ნ. ლაბარტყავა (2011 წ.). 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებები. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
2. ნ. ჯანაშია, ნ.იმედაძე, ს. გორგოძე (2008 წ.). განვითარებისა და სწავლის თეორიები. საქართველოს მაცნე.
3. რედ. მ. ჯაფარიძე (2005 წ.). განათლების ფსიქოლოგია. თბილისი. სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.
4. ა. ვულფოლკი (2012 წ.). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. Л. Выготский (2005г.) Проблема культурного развития ребенка. В книге Психология развития человека. М., "Смысл", ЭКСМ.
6. Л. Выготский (1999 г.) Мышление и речь. М., "Лабиринт".
7. Л. Выготский (1991 г.). Педагогическая психология. М., "Педагогика".
8. Carol Garhart Mooney(2000). Teories of Childhood: An Indroduction to Deuey, Montessory, Erikson, Piaget & Vygotsky. Published by Redleaf Press.

